



განხილულია ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
(ოქმი № 02, 11.02.2017)

დამტკიცებულია

თჰუ აკადემიური საბჭოს 14.02.2017

№03/გადაწყვეტილებით

თჰუ რექტორის 2017 წლის 14.02. N 28/01 ბრძანებით

მოდულიზირებულია

და განხილულია ჰუმანიტარული ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე (ოქმი № 08.25.05.2017)

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარული ფაკულტეტი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისი

2017

პროგრამის დასახელება : ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს და კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ან დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე თავიანთი არჩევანის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- 1) თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს პირს/საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ჩააბარებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგად უნარებს აზერბაიჯანულენოვანი, ან აფხაზურენოვანი, ან ოსურენოვანი, ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე და გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.
- 2) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60 კრედიტი, ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა, 1 სემესტრის მანძილზე - სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს.

პროგრამის ხანგრძლივობა – 1 წელი, 2 სემესტრი

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - ირმა ბარბაქაძე

პროგრამის აქტუალობა და სფეროს აღწერა

ქართულის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის შესწავლა უპირველესი რიგის ამოცანაა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის. სწორედ მაღალი ენობრივი კომპეტენცია და დომინანტი მოსახლეობის კულტურული ნორმების ცოდნა მისცემს მას ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში სრულყოფილად ჩართვის შესაძლებლობას, განუვითარებს ინტერკულტურულ მგრძობელობას, რაც თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში შრომის ბაზარზე დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. პროგრამით გათვალისწინებული კურსების შინაარსი იმგვარადაა შედგენილი, რომ სტუდენტებს, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, აძლევს დამატებით კომპეტენციებს წარმატებული პიროვნული თვითრეალიზაციისათვის.

პროგრამის მიზანი

საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის შექმნას სათანადო პირობები ხარისხიანი განათლების მისაღებად და სამოქალაქო ინტეგრაციისთვის. ამის მიღწევა მხოლოდ სახელმწიფო ენის - ქართული ენის ფლობის შემთხვევაშია შესაძლებელი. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელმა, სომეხმა, აფხაზმა და ოსურენოვანმა სტუდენტებმა, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებამინიჭებულმა საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა დაძლიონ მათ წინაშე არსებული ენობრივი ბარიერი და სრულყოფილად ჩაერთონ სამოქალაქო პროცესებში. პროგრამა ხელს უწყობს ღია, ეთნიკურად მრავალფეროვანი, ტოლერანტული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ხელშეწყობას მათი ინტელექტუალური რესურსის სრულყოფილად რეალიზებაში.

კერძოდ: პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების წარმატებით გავლის შედეგად სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ ქართულის, როგორც მეორე ენის, ზღვრულ გაძლიერებულ B1+ დონეზე (რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) და პროდუქციული (ლაპარაკი, წერა) უნარები) ცოდნას. ცოდნის დონე უნდა შეესაბამებოდეს ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის მიხედვით განსაზღვრულ კომუნიკაციურ კომპეტენციებს; სტუდენტებს საკმარისად უნდა ჰქონდეთ განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები უმაღლეს სასწავლებელში ლექციების ქართულ ენაზე მოსაძენად, გასაგებად და პროფესორ-მასწავლებლებსა თუ თანაკურსელებთან ქართულ ენაზე ურთიერთობის დასამყარებლად;

- ამასთან, სტუდენტები იმ დონეზე უნდა დაეუფლონ ქართულს, როგორც მეორე ენას, რომ შეძლონ:
- ა) ზეპირი კომუნიკაცია ქართულ ენაზე (სალექციო პროცესში, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში);
 - ბ) სხვადასხვა ფუნქციისა და ჟანრის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შექმნა და გაგება;
 - გ) სხვადასხვა პრაქტიკულ/სამუშაო ჯგუფში მეცანიერობებზე მიცემული წერიტი დავალებების შესრულება; ქართული ენობრივ-კულტურული ფასეულობებისა და სოციალური სინამდვილის გაცნობა და პატივისცემა;

გ) ქართული ენის ცოდნისა და უნარების პრაგმატულად გამოყენება.
 ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გადასაჭრელად პროგრამით გათვალისწინებული კურსები სტუდენტებს უვითარებს ქვემოთ ჩამოთვლილ კომპეტენციებს:

ლინგვისტური კომპეტენცია - ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის ათვისება, ლოგიკურად და გრამატიკულად გამართული გამოთქმებისა და ფრაზების ჩამოყალიბების უნარი.

სოციოლინგვისტური კომპეტენცია - კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის შესაბამისად ზეპირი და წერიტი კომუნიკაციების კომპეტენციის საფუძვლების დაუფლება.

დისკურსული კომპეტენცია - განსხვავებული (მათ შორის აკადემიური) ჟანრის ტექსტების სტრუქტურულ მახასიათებლებში გარკვევა, სათანადო სტრატეგიების გამოყენება მისი შექმნისა და გაგებისათვის.

სოციოკულტურული კომპეტენცია - ქართული ენობრივ-კულტურული თავისებურებების გაცნობიერება, მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში ადაპტირება.

სოციალური კომპეტენცია - თავის დამკვიდრება არსებულ სოციალურ გარემოში კონფლიქტების გარეშე.

სტრატეგიული კომპეტენცია - საჭიროების შემთხვევაში საკომუნიკაციო ხარვეზის ეფექტურად გადაჭრა ვერბალური და არავერბალური სტრატეგიების გამოყენების გზით.

სწავლის შედეგები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს განვითარებული აქვთ ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები უმაღლეს სასწავლებელში ლექციების ქართულ ენაზე მოსასმენად, გასაგებად და კომუნიკაციის დასამყარებლად. გარდა ამისა, ისინი მზად არიან არაკადემიურ გარემოში ადაპტირებისათვის. მათ მიიღეს შემდეგი ცოდნა და უნარები:

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს აქვთ საბაზისო ცოდნა ქართულ ენაში. ერკვევიან ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) და ფლობენ ვერბალურ და არავერბალურ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს. განვითარებული აქვთ ოთხივე ენობრივი უნარი - მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (Common European Framework of Reference, *CEFR*) B1+ დონეზე).

გარდა ამისა, კურსდამთავრებულს განუვითარდა:

ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები - ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი ტექსტის (მათ შორის - ლექციების) მოსმენის, გაგების, თარგმნის უნარი; ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონის გამოყენების უნარი; ქართული ენის ნორმების შესატყვისად გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) კონსტრუქციების აგების უნარი; ქართულ ენაზე აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია ქართული ენის პრაქტიკული გამოყენება გარკვეული წერიტი ამოცანებისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის; ყოფით ან სასწავლო გარემოში ინსტრუქციების, მითითებებისა და დავალებათა შინაარსის გაგება; მოსაუბრეთა დამოკიდებულებების (განწყობის) ამოცნობა და მოსმენილი ტექსტის შინაარსის უკეთ გასააზრებლად შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება. მხატვრული და არამხატვრული ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გაგება; წაკითხულ ტექსტში

კონკრეტული ინფორმაციის მოძიება; წაკითხული ტექსტის მიზნის ამოცნობა; ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით; სხვადასხვა თემატიკაზე საუბარი, კითხვების დასმა და მისთვის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა; ნათქვამის დაზუსტება, მოსმენილი ტექსტის თემის აღქმა, ინფორმაციის მოკლედ და თანმიმდევრულად გადმოცემა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, შესწავლილი ენობრივი საშუალებების გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში. სხვადასხვა ტიპის ტექსტის რედაქტირება, კომენტირება, ანოტირება, თარგმნა, საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა, საანკეტო მონაცემების შევსება, CV-ს და ბიოგრაფიის შექმნა; ენის გამოყენება მრავალფეროვან რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციაში წერითი დავალებების შესრულების მიზნით.

კურსდამთავრებულს შეუძლია ოთხივე ენობრივი კომპეტენციის -მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა გამოყენება წერით და ზეპირ მეტყველებაში B1+ დონეზე. კერძოდ:

მოსმენა

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გაიგოს საუბარი, როდესაც ელაპარაკებიან ნელა და გარკვევით ყოველდღიურობაზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში მან შეიძლება სთხოვოს მოსაუბრეს, რომ გაუმეოროს ან განუმარტოს ესა თუ ის სიტყვა, ფრაზა, წინადადება; სტანდარტული მეტყველების მთავარი აზრის გაგება;
- გაიგოს ისეთი დისკუსიის ძირითადი შინაარსი, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებას ან/და მისთვის ნაცნობ თემებს იმ შემთხვევაში, თუ ეს დისკუსია არ მიმდინარეობს სწრაფად და არასალიტერატურო ენით;
- გაიგოს ტელე- და რადიოგადაცემების მთავარი არსი, თუ ისინი ეხება მისთვის ნაცნობ თემებს.
- გაიგოს მარტივი პრეზენტაციებისა და მოხსენებების შინაარსი, თუ ისინი მისთვის ნაცნობ თემებს ეხება;
- იმდენად გაიგოს მოკლე ისტორიების შინაარსი, რომ წინასწარ მიხვდეს მათ სავარაუდო განვითარებას;
- გაიგოს მარტივი ტექნიკური ინსტრუქციები (მაგ., როგორ გამოიყენება ესა თუ ის ხელსაწყო);
- შეუძლია გაიგოს მისთვის საინტერესო სატელევიზიო გადაცემების (ინტერვიუები, ახალი ამბები, ბუნების დაცვა, ცხოველთა სამყარო, სპორტული მიმოხილვა, კინოვარსკვლავები, რეკლამები...) დედააზრი და მნიშვნელოვანი დეტალები, თუ ტექსტი გადმოიცემა სალიტერატურო ენით, ნელა და გარკვევით;
- გაიგოს მარტივი ინფორმაციის დეტალები (მაგ., როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრში...);
- გაიგოს ქართულენოვანი ორი პიროვნების გარკვევით და მკაფიოდ მიმდინარე საუბარი, თუ იგი დაძაბავს გონებას.

კითხვა

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- წაიკითხოს და სრულყოფილად გაიგოს ისეთი მარტივი ტექსტი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით;
- წაიკითხოს და გაიგოს აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები (მაგ., ბუნების დაცვა, კულტურული ქრონიკა, მშენებლობა...);
- წაიკითხოს და გაიგოს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ინტერვიუები ცნობილ პიროვნებებთან, თუ თემა ნაწილობრივ ნაცნობია მისთვის;
- წაიკითხოს და გაიგოს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებების შინაარსი და ძირითადი ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ არ ხვდება აბრევიატურები;
- წაიკითხოს და გაიგოს პირადი წერილები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ურთიერთობას, გრძნობებსა და სურვილებს;
- წაიკითხოს და გაიგოს საკვების შეფუთვაზე დაწერილი ინფორმაცია (საკვების შემადგენლობა, მომზადების წესი...);
- წაიკითხოს და გაიგოს სხვადასხვა სახის მოკლე ინსტრუქცია (მაგ., ელექტრობელსაწყობის, ტელეფონის, ბანკომატის...);
- წაიკითხოს და გაიგოს უსაფრთხოების წესები, რომლებიც განთავსებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ელექტრომოწყობილობებზე;
- წაიკითხოს წამლების ინსტრუქცია და გაიგოს მისთვის საჭირო ძირითადი მითითებები;
- წაიკითხოს და გაიგოს მოკლე ტექსტები მისთვის ნაცნობ თემებზე, რომლებშიც გამოთქმულია სხვადასხვა ხასიათის მოსაზრებები (მაგ., კრიტიკულ მოხსენებაში, ინტერნეტფორუმში, `ფეისბუქში`);
- კონკრეტული დავალების შესრულების მიზნით ვრცელ ტექსტებში თვალის გადავლებით იპოვოს საჭირო ინფორმაცია/შეკრიბოს ინფორმაცია ტექსტის სხვადასხვა ნაწილიდან/სხვადასხვა ტექსტიდან;
- გაიგოს განსახილველი საკითხების მთავარი არსი, თუმცა ყოველთვის ვერ ხვდება დეტალებს.

ლაპარაკი**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- მოუმზადებლად მიიღოს მონაწილეობა საუბარში, რომელიც ეხება ნაცნობ თემებს;
- გამოთქვას საკუთარი აზრი და ჩაერთოს ისეთ საუბარში, რომელიც ყოველდღიურობას, საყოფაცხოვრებო თემებსა და მისი პირადი ინტერესის სფეროს ეხება (მაგ., მიმდინარე პროცესები, საყიდლების ღირებულება, გაიაფება, გაძვირება, ფასდაკლება, ნივთების მოხმარების წესები, საყვარელი მუსიკალური ჯგუფები/მსახიობები/ფილმები/წიგნები...);
- არა მარტო მოჰყვეს რამე ამბავს, ფილმისა თუ წიგნის შინაარსს, არამედ მასთან დაკავშირებით გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები. მას ასევე შეუძლია ისაუბროს რაიმე მოვლენის, შთაბეჭდილების, დამოკიდებულების (დაინტერესების...) ან განცდის (გაკვირვება, სიხარული, სევდა...) შესახებ;

- თანამოსაუბრეს მისცეს რჩევა (მაგ., ტანსაცმლის/ტექნიკის... ყიდვისას/შერჩევისას...);
- ახლობლებთან მარტივი სატელეფონო საუბრის წარმართვა. მას ასევე შეუძლია მათთან საერთო ინტერესების შესახებ საუბარი;
- დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი აზრის, შთაბეჭდილებებისა თუ განცდების მოკლედ გადმოცემა. მას ასევე შეუძლია თითქმის სპონტანურად დაუსვას მოსაუბრეს შეკითხვები;
- რამდენიმე წინადადებით გადმოსცეს, თუ რა დამოკიდებულება აქვს თავის ახლობლებთან და დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრებები;
- არგუმენტირებულად გადმოსცეს, ახსნას და დაასაბუთოს საკუთარი გეგმები, აზრები, ვარაუდები, შთაბეჭდილებები;
- გამოთქვას მოსაზრებები და წინადადებები სამუშაო შეხვედრის (მაგ., პროექტზე მუშაობისას, სემინარზე...) მსვლელობისას. მას ასევე შეუძლია მოკლე და მარტივი პრეზენტაციის წარმართვა (მაგ., სტუმრებისათვის ახალი პროგრამის წარდგენა...) და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებულად წარმოჩენა იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულად მოიქცნენ მისი ოპონენტები;
- ნაცნობ თემებზე წინასწარ მომზადებული მოხსენებისა თუ პრეზენტაციის იმდენად კარგად წარმართვა, რომ მისი აზრის გაგება თავისუფლად შესაძლებელი; თუმცა, თუ შემსწავლელის საჯარო გამოსვლა წინასწარ არაა მომზადებული, ზოგჯერ რამდენადმე გაუგებარია მისი ნათქვამის არსი/აზრის სიზუსტე;
- სხვისი ნათქვამის გაგება, მაგრამ თუ მოსაუბრე ლაპარაკობს სწრაფად და ხანგრძლივად, სჭირდება, რომ გაამეორებინოს ან ხელახლა აახსენებინოს ნათქვამი. მას შეუძლია მოსაუბრეთა თვალსაზრისებზე კომენტარების გაკეთება;
- ეტიკეტის გათვალისწინებით გამოთქვას თავისი თვალსაზრისი, რწმენა, გამოხატოს თანხმობა, არ დაეთანხმოს მოსაუბრეს... მას ასევე შეუძლია გამოთქვას პრეტენზია (მაგ., მაღაზიაში რაიმე ნივთის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში...);
- თანამიმდევრულად მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინებით გადმოსცეს ისეთი მოვლენა თუ ფაქტი (მაგ., დაჯილდოების ცერემონია, საგზაო შემთხვევა...), რომელსაც თვითონ შეესწრო;
- სხვას მისცეს დეტალური მითითებები და რჩევები (მაგ., საჭმლის მომზადება, შინაური ცხოველის მოვლა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და სასიამოვნოდ გატარება ამა თუ იმ ქვეყანაში...);
- მოკლე ინტერვიუს ჩამორთმევა, თუ კითხვები წინასწარ აქვს მომზადებული; მას ასევე შეუძლია დამატებითი შეკითხვების დასმა ხანგრძლივი დაფიქრების გარეშე. შემსწავლელს აქვს უნარი ინტერვიუს მიმდინარეობისას აიღოს ინიციატივა (მაგ., ახალი თემის დაწყება), თუმცა დამოკიდებულია ინტერვიუერზე;
- საკმაოდ კარგად იყენებს სტანდარტულ კონსტრუქციებს საუბარში, რომელიც ეხება მის პროფესიულ საქმიანობას. მას ასევე შეუძლია მრავალფეროვანი მარტივი ენობრივი საშუალებებით სხვადასხვა სიტუაციის დაძლევა;
- კონკრეტული, მაგრამ ზოგჯერ არაზუსტი, ინფორმაციის გაცემა (მაგ., ექიმისთვის ავადმყოფობის სიმპტომების აღწერა...);
- ნაცნობ სიტუაციებში აზრს აყალიბებს საკმაოდ ზუსტად, თუმცა ემჩნევა მშობლიური ენის გავლენა. იგი ზოგჯერ უშვებს შეცდომებს, მაგრამ მისი საუბრის ზოგადი აზრი სავსებით ნათელია.

წერა

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მოსმენის დროს ჩაინიშნოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- წერილობითი ფორმით აზრის თანამიმდევრულად ჩამოყალიბება მისთვის საინტერესო ან ნაცნობ თემებზე (მაგ., საინტერესო ადგილების, პროფესიული გამოცდილებისა და საქმიანი შეხვედრის შესახებ);
- ფორმითა და შინაარსით სტანდარტული, ძალიან მოკლე, ინფორმაციული ხასიათის მოხსენებების წერა ყოველდღიურობასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. მას ამავდროულად შეუძლია შეკრებილი ფაქტობრივი ინფორმაციის შეჯამება და საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თემა არაყოველდღიურ საკითხებს ეხება;
- დაწეროს მნიშვნელოვანი მოვლენის ან პირადი განცდის თაობაზე (მაგ., საინტერესო მოგზაურობის ან საინფორმაციო ხასიათის ახალი ამბების... შესახებ) და საჭიროების შემთხვევაში მარტივი ენობრივი საშუალებებით შეძლოს ამბის/მოვლენის/ გამოცდილების გაბმული ტექსტის სახით ფორმულირება;
- პირადი წერილის დაწერა და მასში საკუთარი გრძნობებისა და გამოცდილების გადმოცემა, მოვლენების აღწერა;
- წერილობითი რეაგირება მისთვის საინტერესო განცხადებაზე (მაგ., სასწავლო კურსები, არდადეგები, სასტუმროს დაჯავშნა...);
- გარკვევით აღწეროს მოვლენები ან საგნები, რომლებიც აინტერესებს (მაგ., უნივერსიტეტის დამთავრება, მუშაობის დაწყება, თანამედროვე მოდა, სპორტის რომელიმე სახეობა, თავისი ან სხვისი საცხოვრებელი სახლი...), წარმოაჩინოს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და დაასაბუთოს საკუთარი აზრი მარტივი ენობრივი საშუალებებით;
- მისთვის ნაცნობი ან საინტერესო საკითხების დაწვრილებითი აღწერა მარტივი ენით, თავისთვის საჭირო ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნა და ასევე ამ მიზნით კითხვარის შედგენა / შეკითხვების მომზადება;
- შეუძლია ბიოგრაფიის დაწერა.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულებს აქვთ მინიმალური დახმარების პირობებში სხვადასხვა წყაროდან (მათ შორის, ბეჭდური და ელექტრონული) მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, დაკავშირების, არგუმენტირების და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარი. მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის ფარგლებში შეძენილ ცოდნას კურსდამთავრებულები იყენებენ მრავალფეროვანი კომუნიკაციური მიზნებისათვის. შეუძლიათ სათქმელის სწორად ფორმულირება, წაკითხული ინფორმაციის გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო ამოცანების შესასრულებლად. შეუძლიათ ქართულ ენაზე ინფორმაციის მიზანმიმართულად და თანამიმდევრულად გადმოცემა,

პრეზენტაციასა და სხვა ტიპის საჯარო გამოსვლებში მონაწილეობა ნაცნობ თემებზე, დისკუსიებში მონაწილეობა და საკუთარი პოზიციის დაცვა. გამომუშავებული აქვთ ადეკვატური ენობრივი ფორმების შერჩევისა და გამოყენების უნარი არსებული ვითარებისა და კონტექსტის გათვალისწინებით. ფლობენ დაგეგმილ და დაუგეგმავ საკომუნიკაციო სიტუაციებში სწორი საკომუნიკაციო სტრატეგიების შერჩევისა და გამოყენების უნარს. შეუძლიათ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. ქართულ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.

სწავლის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ უვითარდებათ დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობის უნარ-ჩვევები. შეუძლიათ საკუთარი ცოდნის შემოწმება და არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრა და საჭიროებების გამოვლენა; აქვთ დროის რაციონალურად გამოყენების უნარები. აგრეთვე, შეუძლიათ ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროდან და მათი სასწავლო მიზნებით გამოყენება. ასევე შეუძლიათ საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.

ღირებულებები

კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა ეხმარება საკუთარი და უცხო ისტორიულ-კულტურულ და იდეოლოგიურ ღირებულებების გაცნობასა და გააზრებაში. ისინი აღიარებენ და აფასებენ საკუთარი პოზიციისაგან განსხვავებულ მოსაზრებასა და ფასეულობებს. კურსდამთავრებულები სათანადოდ აცნობიერებენ ქართული საზოგადოების ეროვნულ-კულტურულ ფასეულობებს და მათ მნიშვნელობას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ფასეულობებთან მიმართებით. არიან ტოლერანტულები, პატივს სცემენ განსხვავებულ კონფესიებს, კულტურებსა და აზრებს; აღიარებენ მულტიკულტურულ და მრავალენოვან გარემოს, როგორც რეალობის მნიშვნელოვან და საინტერესო ნაწილს და არა როგორც პრობლემას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ენის სწავლება მასწავლებლისაგან მოითხოვს მრავალფეროვან მეთოდთა გამოყენებას. მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია მასალის შინაარსსა და მეცადინეობის ფორმატზე, ასევე, სტუდენტთა არსებულ ცოდნის დონეზე. სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

ლექცია: ლექტორისა და სტუდენტის ერთობლივი მუშაობის პროცესია, რომელზეც პედაგოგი აცნობს შესასწავლ მასალას და ეხმარება სტუდენტებს მის გააზრებასა და ანალიზში.

პრაქტიკული მეცადინეობა: სტუდენტები იღრმავებენ ლექციაზე განხილული თემების ცოდნას. თეორიული ცოდნა განმტკიცდება პრაქტიკული მაგალითებითა და სავარჯიშოებით. მეცადინეობის დიდი ნაწილი ეთმობა ენობრივ პრაქტიკას. მოსწავლე დემონსტრირებას უკეთებს საკუთარ ცოდნას.

ივსებს ხარვეზებს. ასევე, სტუდენტები უზიარებენ თავიანთ ცოდნას თანაკურსელებს და „აფასებენ“ მათ მიღწევებს.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა: დრო, რომელსაც კურსების წარმატებით ათვისებისათვის სტუდენტი არასაუდიტორიო გარემოში ხარჯავს, გარდა იმისა, რომ სალექციო და პრაქტიკული მუშაობისას მიღებული ცოდნის განმტკიცების მნიშვნელოვანი საფეხურია, სტუდენტს უვითარებს ავტონომიურად მუშაობისა და აკადემიურ გარემოში და შრომით ბაზარზე დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანი ბევრ სხვა უნარს.

დისკუსია-დებატები: მნიშვნელოვნად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს და აქტივობას. დისკუსიის თემას პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის ფასილიტირებას. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობის, კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთებისა და დაცვის უნარს;

ჯგუფური მუშაობა: გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას დამათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამაშავებენ საკითხებს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესშიწევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

თანამშრომლობითი სწავლება: ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანიარ დაეუფლება საკითხს; **ევრისტიკული მეთოდი** – სტუდენტები მათ წინაშე დასმულ ამოცანებს ეტაპობრივად წყვეტენ. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

დემონსტრირების მეთოდი: ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ.

სწავლების ინდუქციური მეთოდი: სწავლის პროცესში საკითხის განვითარება კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული.

სწავლების დედუქციური მეთოდი: საკითხის შესწავლის პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი: გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რათა გამარტივდეს რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური ახსნა და გააზრება.

სინთეზის მეთოდი: ანალიზის საპირისპირო პროცედურაა, ანუ ცალკეული საკითხები ჯგუფდება ერთი მთლიანის შესადგენად. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი: ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხისირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომელსაც დაწვრილებით განიხილავენ მოცემული თემის ფარგლებში;

გონებრივი იერიში: გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა

და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას;

წერიტი მუშაობის მეთოდი: გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვატიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულებას და ა.შ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი: საკითხთან დაკავშირებული მასალების მოძიება, დაჯგუფებას, სისტემატიზება და დამუშავება სასწავლო ამოცანების შესაბამისად;

პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამალეებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

როლური და სიტუაციური თამაშები: სასწავლო ამოცანებიდან გამომდინარე, სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

ქართულის როგორც უცხო ენის შესწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება მსოფლიოში აპრობირებული სწავლების მეთოდები, როგორცაა:

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი

ამ მეთოდში უპირატესობა ენიჭება გრამატიკის ცოდნასა და სწორად თარგმნის უნარის გამომუშავებას. სალექციო პროცესი წარიმართება შემდეგი სქემით: შესავალი ფაზა: გრამატიკული წესის წარმოდგენა; ვარჯიშის ფაზა: წინადადებების აგება მოცემულ ფენომენზე; გამოყენების ფაზა: კითხვა, წერა და თარგმნა. ტექსტის სახეობებიდან უპირატესობა ენიჭება სალიტერატურო ტექსტებს, ცნობილი მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს. სასწავლო მასალის თანამიმდევრობა ეყრდნობა გრამატიკის სისტემურად მიწოდებას. სწავლების მიზანია ენის სტრუქტურის, წესების სწავლა.

პირდაპირი მეთოდი

განიხილება, როგორც აუდიოლინგვური მეთოდის განვითარების წინა საფეხური. ტერმინი „პირდაპირი“ გულისხმობს უცხო ენის ათვისებას მშობლიური ენის, როგორც საშუამავლო ენის, გარეშე, რადგან ამ კონცეფციით მშობლიური ენა უცხო ენის ათვისებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქმება. წესები. წინა პლანზე იწევს „ენობრივი ინტუიცია“: შემსწავლელმა თავად უნდა მიაგნოს წესს მაგალითების საფუძველზე. ენის ათვისება მხოლოდ მიზნობრივ ენაზე მიმდინარეობს მშობლიური ენის გამოყენების გარეშე. მასწავლებელი ხდება „ენის მოდელი“. ძალიან დიდი

ყურადღება ექცევა ენის ჟღერადობას, ფონეტიკას. იმის გამო, რომ ლექსიკის ათვისებაც ერთენოვანი პროცესი ხდება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაჩინოებას: მასწავლებელი უშუალოდ მიუთითებს საგანზე ან მოქმედებაზე, რომლის ახსნაც სურს. სავარჯიშოების ტიპური ფორმებია: კითხვა-პასუხი, გამეორება, გამოთქმაზე ვარჯიში, გამოტოვებული სიტყვების ჩასმა, დიალოგების გათამაშება ნიმუშის მიხედვით, ლექსების, სიმღერების ზეპირად სწავლა, კარნახი და მოსმენილის მოყოლა.

აუდიოლინგვური მეთოდი

ამ მეთოდით შექმნილ სახელმძღვანელოებში ახალი სასწავლო მასალა წარმოდგენილი არის ყოველდღიურ სასაუბრო სიტუაციასთან დაკავშირებული დიალოგის და/ან სურათის მეშვეობით. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისგან განსხვავებით, ენის სწავლების მიზანი ხდება ენობრივი ქმედება და არა ენობრივი ცოდნა; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლაპარაკისა და მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებას, ხოლო წერისა და კითხვის უნარ-ჩვევები მეორეხარისხოვანი ხდება. აუდიოლინგვური მეთოდი ემყარება დიალოგებს, როგორც ყოველდღიური სასაუბრო ენის საბაზო ტექსტის სახეობას. სალიტერატურო ტექსტები აქ საერთოდ უგულვებელყოფილია, ხოლო გაბმული ტექსტები შემოიფარგლება ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის საინფორმაციო ტექსტებით. აუდიოლინგვური მეთოდის ტიპური სავარჯიშოების ფორმებია: • წინადადების მოცემული ყალიბის განმტკიცება სხვადასხვა ვარიაციით (ე.წ. „Pattern Drill“); • სავარჯიშოები გამოტოვებული ადგილებით; • დიალოგების ზეპირად სწავლა და გათამაშება

აუდიოვიზუალური მეთოდი

აუდიოვიზუალურ მეთოდში მაქსიმალურად არის გამოყენებული ენის ვიზუალიზაციის საშუალებები: სადაც კი შესაძლებელია, ყველგან სურათების საშუალებით არის გადმოცემული სამეტყველო სიტუაციის შინაარსი. წინ წამოწეულია სურათი, და შემდეგ მიეწოდება შემსწავლელს ინფორმაცია ვერბალური ფორმით. აუდიოვიზუალური მეთოდით შემსწავლელი ჯერ ეცნობა სიტუაციის შინაარსს სურათებით და შემდეგ მიეწოდება ტექსტი, ანუ ენობრივი კოდი. აუდიოვიზუალურ მეთოდში სურათები მხოლოდ მნიშვნელობის გაგებისთვის არ გამოიყენება, – მათ წამყვანი როლი უკავიათ ვარჯიშის მასალის განმტკიცებისა და ენის გამოყენების ფაზაში... ამგვარად, აუდიოვიზუალური მეთოდით ახალი მასალის პრეზენტაცია ხორციელდება სურათების მეშვეობით, რომელთაც ახლავს აუდიოფონი: მაგალითად, დიალოგის ჩანაწერის სახით. შემდეგ ეტაპზე შემსწავლელი აცნობიერებს ცალკეულ ენობრივ დეტალებს: ამისთვის მასწავლებელი იყენებს მითითების ტექნიკას, ასმენინებს ნაწყვეტებს რამდენჯერმე, გვამს შეკითხვებს. ვიზუალური ხატისა და აუდიოსიგნალის რამდენჯერმე აღქმა-მოსმენის შედეგად შემსწავლელი იზეპირებს დიალოგს. შემდეგ ის აწყობს ანალოგიურ დიალოგებს სხვა სურათების მეშვეობით და იწყება როლური გათამაშებები. ვარჯიშის განუყოფელი ნაწილია ე.წ. Pattern Drill, რომელთა მეშვეობით განმტკიცდება დიალოგებში მოცემული გრამატიკული ფენომენები. პროცესში აქტიურადაა გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიები, მედიასაშუალებები, სლაიდები, პრეზენტაციები.

შერეული მეთოდი

სხვადასხვა მეთოდის „შერწყმას“ ნიშნავს, სადაც ყოველდღიური სიტუაციებია მოცემული, მაგრამ ტექსტები მაინც არაავთენტიკურია, სასაუბრო ენა „გაშეშებული“ სტილით არის მოცემული და, რაც მთავარია, ტექსტები შედგენილია გრამატიკული ფენომენის ასათვისებლად. გრამატიკა უკვე განსხვავებულად ისწავლება: თავდაპირველად მოცემულია მაგალითი, ხოლო შემდეგ (გრაფიკული

საშუალებებით) – წესი და გამონაკლისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაგრამ გრამატიკას მაინც წამყვანი ფუნქცია აკისრია. ამ მეთოდით გრამატიკას მაინც ცენტრალური ადგილი უჭირავს და ყველა ტექსტი თუ სავარჯიშო გრამატიკულ ფენომენებზე არის აგებული.

კომუნიკაციური დიდაქტიკა

კომუნიკაციურმა მიდგომამ მთავარ მიზნად დაისახა პროცედურული ცოდნა, ანუ ენის გამოყენების ცოდნა და შემსწავლელში ე.წ. „კომუნიკაციური კომპეტენციის“ გამომუშავება ენობრივი ქმედების სახით. კერძოდ, უცხო ენაზე მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. კომუნიკაციურ კომპეტენციაში მოიაზრება არა მხოლოდ ყოველდღიური სასაუბრო ენის ფლობა, არამედ სამწერლობო ენისაც: „მოსწავლე თანაბრად უნდა ფლობდეს როგორც სამწერლობო ენას, ასევე თანამედროვე სასაუბრო ენას ისე, რომ შეეძლოს წაკითხული და მოსმენილი ტექსტის გაგება ... და ენობრივი ქმედების... განხორციელება ზეპირ და წერით მეტყველებაში ასაკისთვის შესაბამისი ფორმით“. შემსწავლელის როლი უფრო აქტიურდება, მას უბიძგებენ თვითაღმოჩენისკენ და ის აღარ არის „ცარიელი ჭურჭელი“, რომელიც ცოდნით უნდა აავსონ, ხოლო მასწავლებლის როლი შედარებით დაჩრდილულია. ის უკანა პლანზე გადადის, როგორც დამხმარე პერსონალი. შემსწავლელები ეჩვევიან ერთმანეთთან მუშაობასაც წყვილებში და ჯგუფურად, ხოლო სასწავლო მასალა ვარიანტებს მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებების მიხედვით.

ინტერკულტურული მიდგომა

კომუნიკაციურ-პრაგმატული მიდგომის განვითარებას წარმოადგენს ინტერკულტურული მიდგომა. ინტერკულტურული მიდგომა წინა პლანზე აყენებს შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო თემატიკის სწავლებას და ეყრდნობა იმას, რაც ზოგადად უნივერსალურია ყველა ადამიანისთვის, მაგრამ ცალკეული ასპექტებით განსხვავებულია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლისთვის. ინტერკულტურულ მიდგომაშიც დიდ მნიშვნელობა ენიჭება სწავლების პროცესში უნივერსალიების ჩართვას, მაგალითად: დაბადება, ცხოვრება, ავადმყოფობა, სოციალური იდენტობა, მეგობრობა, სოციალური წერა, გარემო და ცხოვრების წესი და ა.შ. უცხოენოვანი კულტურის შეცნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ სალიტერატურო ტექსტები განიხილება. სასწავლო მასალა მდიდარია სხვადასხვა სახეობისა და თემატიკის ტექსტებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერკულტურული მიდგომა ისეთ რეგიონებში, რომლებიც საკმაოდ განსხვავებულია შესასწავლი ენის კულტურისგან.

სიტუაციური სწავლება: სტუდენტი განმეორების გზით იმახსოვრებს მადალსიხშირულ ლექსიკურ ერთეულებსა და ენობრივ კონსტრუქციებს, აქვე ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში.

სწავლა სწავლებით: პროფესორი უფრო ფასილიტატორის როლს ასრულებს, ვიდრე პედაგოგისა. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. პროფესორი ეხმარება რეკომენდაციებითა და მინიშნებებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 1 სასწავლო წელია, 2 სემესტრი. სემესტრი დასრულებულად ჩაითვლება 1 შუალედური გამოცდით, რომელიც ტარდება მე-8 კვირას.

ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კვირების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 40 კვირას, 1 სემესტრის განმავლობაში - 20 კვირას, რომელშიც მოიაზრება 15 სასწავლო კვირა (სალექციო, პრაქტიკული სააუდიტორიო მეცადინეობების პერიოდი) და 5 კვირა საგამოცდო: VIII კვირა - შუალედური გამოცდების კვირეული, XVII- XX - დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კვირეული.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებზე იყოფა: შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელშიც მოიაზრება სამჯერადი შეფასება:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში-30 ქულა;

ერთი შუალედური გამოცდა-30 ქულა;

ხოლო დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას.

შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის 50%-ს ანუ 20 ქულას 40 ქულიდან.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1. ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: (FX) ვერ ჩააბარა -ს მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში და აისახება საგამოცდო ცხრილში.

2. დამატებით გამოცდაზე მეღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.

3. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.

➤ შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად და ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

სწავლის გაგრძელების საშუალება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ან დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე თავიანთი არჩევანის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსები. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს გამართული სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასი, სააუდიტორიო ფონდი ვიდეო-ლექციების უზრუნველყოფით, ენის კაბინეტი), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და აპარატურით. პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს წვდომა აქვთ სხვადასხვა ელექტრონულ სასწავლო ბაზებსა და ბიბლიოთეკებთან.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოთ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასაკმაყოფილებლად.

პროგრამის სტრუქტურა/სასწავლო გეგმა, პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) თან ერთვის პროგრამას. (იხ.დანართები).